# ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

მე, მარიამ ოზიაშვილი, დავიბადე 1990 წლის 19 სექტემბერს ქ. თბილისში.

1996 წელს სწავლა დავიწყე ქ. თბილისის მეორე გიმნაზიაში, 2001 წლიდან სწავლა განვაგრძე ქ. თბილისის N16 საშუალო სკოლაში, ხოლო 2003 წლიდან - ვ. კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში, რომელიც დავასრულე 2007 წელს. ამავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 2011 წელს და მომენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამავე წელს სწავლა განვაგრძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაზე, რომელიც 2013 წელს დავასრულე და მომენიჭა სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2009-2012 წლებში გავიარე სტაჟირება საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებაში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრში", სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამავე პერიოდში მონაწილეობა მივიღე არაერთ სტუდენტურ კონფერენციასა და ოლიმპიადაში, მათ შორის: საფაკულტეტო/საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები, „საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან", „საქართველოს კონსტიტუცია 1995-2009", „იმიტირებული პროცესები კერძო სამართალში", „გამოხატვის თავისუფლება", „სტატიათა კონკურსი საჯარო და კერძო სამართალში", საზოგადოებრივი სასამართლოს პროექტის ფარგლებში ორგანიზებული სამართლებრივი ოლიმპიადა და სხვა.

2011 წელს ჩავაბარე ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით; 2013 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი და ჩავაბარე შესაბამისი ტესტური გამოცდა.

2012 წლის თებერვლიდან დავინიშნე მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებლად თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც უფლებამოსილებას ვახორციელებდი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. 2012 წლის სექტემბრიდან მუშაობა განვაგრძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში მოსამართლის (მწერალ) თანაშემწედ, სადაც დასაქმებული ვიყავი 2023 წლის 26 ოქტომბრამდე.

2012-2023 წლებში გავიარე არაერთი სასაწავლო კურსი და დავესწარი პროფესიულ ტრენინგებს, მათ შორის: „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი სასწავლო კურსი“, „საკონსტიტუციო სამართალი“, „სანოტარო სამართალი“, „საგადასახადო სამართლის რიგი საკითხები“, „სახელმწიფო პასუხისმგებლობა“, „კონკურენციის სამართალი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაცია“, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცენდენტები)“, „ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები“, „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვისა და საკუთრების უფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები“, „ეფექტური ლიდერობა და მართვა“, „ზოგადი მენეჯმენტი“, „საქმეთა ნაკადის მართვა“ და სხვა.

2022 წლის მაისში ჩავაბარე მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის 26 ოქტომბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

მარიამ ოზიაშვილი